საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

KA030196045128412

ბრძანება No–36

ქ. თბილისი

07 / თებერვალი / 2012 წ.

ს.ს ,,ტრანსვესტინჟინერინგი 12"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შ.პ.ს ,,საქმილსადენმშენი"-ზე გადაცემის შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტისა და ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის'' შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ს.ს ,,ტრანსვესტინჟინერინგი 12"-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის №541 ბრძანების შესაბამისად გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შ.პ.ს ,,საქმილსადენმშენი"-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2008 წლის 09 ივლისის №28 დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ს.ს ,,ტრანსვესტინჟინერინგი 12"-სა და შ.პ.ს ,,საქმილსადენმშენი"-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 2 თებერვლის №ი-35 ბრძანება ,,ს.ს ,,ტრანსვესტინჟინერინგი 12"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ"
6. გაუქმდეს გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000029;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ს.ს ,,ტრანსვესტინჟინერინგი 12"-ისა და შ.პ.ს ,,საქმილსადენმშენი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ს.ს „ტრანსვესტინჟინერინგი 12"-ისა და შ.პ.ს „საქმილსადენმშენი"-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება (06.02.2012 №01/06), მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება „ნებართვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" და ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი

გ. ხაჩიძე

გიორგი ხაჩიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, გულუას ქნა, ტელ. 72 72 60

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჭახნაკია
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 28

09 07 2008 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ასფალტის წარმოება
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი –
   სს „ტრანსვესტინჟინერინგი 12", ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას ქ.№58
3. განხორციელების ადგილი – თერჯოლის რაიონი, სოფ. კვახჭირი
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 29.05.08
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „თირი"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

სს „ტრანსვესტინჟინერინგი 12“-ის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია „ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“, რომელიც მომზადებულია შპს „თირის“ მიერ.

სს „ტრანსვესტინჟინერინგი 12“-ის ასფალტის ქარხანა მდებარეობს ქ. ქუთაისიდან 7კმ-ის დაცილებით, თერჯოლის რაიონში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონაში.

სს „ტრანსვესტინჟინერინგი 12“-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია საკანონმდებლო ასპექტები, გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები, ატმოსფერული ჰაერის დაცვის ხარისხი, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგია და გეოლოგიური პირობები, ძირითადი ლანდშაფტები, ფლორა და ფაუნა, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და მონიტორინგის საკითხები, ავარიული სიტუაციები.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საწარმოში, ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება ქვიშა-ხრეშის დამზადება. კარიერიდან შემოდის ქვიშა-ხრეში, რომელიც განთავსდება ნედლეულის მიმღებ ბაქანზე, რომლის ფართობია 10 000მ^2, აღნიშნულ ფართობს აქვს ოთხი მეტრი სიმაღლისა და 60 მეტრი სიგრძის კედელი, რომელზედაც მიდგმულია ქვის სამსხვრევის მკვებავი ხვიმრები. მასში ქვიშა-ხრეში მიეწოდება ბულდოზერით.

მკვებავი ხვიმრებიდან ქვიშა-ხრეში მიეწოდება CMD 121 ვიბრო ცხავს, რომელიც დამონტაჟებულია 2 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნულ ცხავზე ქვიშა-ხრეში ირეცხება და ხარისხდება: ბუნებრივი ქვიშის, წვრილმარცვლოვანი ქვიშის და დასამტვრევი ქვის სახით.

ვიბროცხავიდან გამოყოფილი ქვიშა ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება კლასიფიკატორს k-12/65 და ირეცხება. წვრიმარცვლოვანი ქვა ტრანსპორტიორის საშუალებით იყრება ცალკე საყარზე. ხოლო დასამტვრევი ქვა მიეწოდება პირველად „ყბებიან“ CMD 109 ქვის სამსხვრევს, სადაც ქვა იმსხვრევა და ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება კონუსურ სამსხვრევს, საიდანაც გადადის ვიბროცხავზე და ნაწილდება ოთხ ფრაქციად. მსხვილი ზომის ქვა მიეწოდება კონუსურ ქვის სამსხვრევს. დამსხვრევის შემდეგ ისევ უბრუნდება ვიბრო ცხავს და ეს პროცესი მეორდება უწყვეტლივ.

გამზადებული, ფრაქციებად დაყოფილი მასალა მექანიკური დამტვირთავების საშუალებით ჩაიტვირთება ასფალტის წარმოებაში. დამტვრული მასალა მიეწოდება საშრობ დოლს, რომელიც ხურდება ბუნებრივი აირის საშუალებით 160^{0}C-მდე.

საშრობი დოლიდან ნამწვი აირები და მყარი ნაწილაკები გაიწოვება გამწოვი ვენტილატორის საშუალებით ციკლონებში.

გახურებული მასალა ცხელი ელევატორის საშუალებით შედის ასფალტის ქარხნის ვიბრო ცხავზე, სადაც იგი ნაწილდება ფრაქციებად და თავსდება ხვიმრებში. ხვიმრებიდან მასალა მიეწოდება სპეციალურ სასწორებს, სადაც იწონება და დოზირებული მასალა გადადის ამრევში. ამრევში მასალას ემატება გაცხელებული ბითუმი, მინერალური ფხვნილი და ირევა. აღნიშნული მასალა წარმოადგენს უკვე გამზადებულ პროდუქციას – ასფალტს. დამზადებული ასფალტი იყრება დამაგროვებელ ბუნკერში და ბუნკერიდან იტვირთება ავტომანქანებზე და ხდება მისი გატანა დანიშნულების ადგილზე.

პროექტის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია მიწისზედა დიზელის რეზერვუარი (25მ3) და საწვავის გასაცემი სვეტი. აქედან ხდება საწარმოს კუთვნილი ავტო ტრანსპორტის გამართვა.

წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების თანახმად საწარმოში წარმოიქმნება როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე საწარმოო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულია ურნა, რომლის შევსების შემთხვევაში გაიტანება საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე, ხოლო, ქვიშა-ხრეშის გამდიდრების უბანზე მოწყობილია ორი ჰორიზონტალური სალექარი. პირველიდან ამოღებული შლამი საწარმოს ნარჩენია, მისი რაოდენობა შეადგენს ნედლეულის 2%-ს. იგი დროებით იყრება შლამის ბაქანზე და გაიტანება კარიერზე შემავსებლად. მეორე სალექარიდან ამოღებული შლამი წარმოადგენს ე.წ ქვის მტვერს, რომელიც გამოიყენება ასფალტის წარმოებაში, მინერალური ფხვნილის დანამატად და ბეტონის წარმოებაში.

საწარმოს ნარჩენია აგრეთვე ასფალტის შემრევ დანადგარზე დამონტაჟებული გამწმენდი დანადგარის (ციკლონის) შემკრებ ბუნკერში დაგროვილი მტვერი, რომელიც გამოიყენება ბეტონის წარმოებაში.

საწარმო წყალს იყენებს სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისათვის. სასმელ-სამეურნეო წყლის აღება ხდება ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა ჭაბურღილიდან, ხოლო ტექნიკური წყლის აღება ხდება მდინარე ყვირილადან, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი სატუმბი სადგურით.

საწარმოს გააჩნია ორი სახის ჩამდინარე წყლები, საყოფაცხოვრებო-ფეკალური და საწარმოო.

საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაედინება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის ორმოში, საიდანაც გაიტანება ასენიზაციის მანქანით.

საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება ქვიშის გამდიდრების პროცესში, რომელიც დაბინძურებულია შეწონილი ნაწილაკებით. ობიექტზე მუშაობს სამი კლასიფიკატორი, რომლიდანაც გამოსული ჩამდინარე წყალი მიწისქვეშა მილით ჩაედინება სალექარებში.

ექსპერტიზის პროცესში გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

III. პირობები

1. საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვებამდე დამუშავდეს საწარმოს მონიტორინგისა (თვითმონიტორინგის) და ნარჩენების მართვის, ასევე ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმები, რომელიც უნდა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;
2. მოხდეს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება;
3. საწარმოს მიერ გარემოს მტვრით დაბინძურების შემცირების მიზნით მოხდეს ტერიტორიის პერიოდულად მორწყვა;

IV. დასკვნა

სს „ტრანსვესტინჟინერინგი 12“-ის მიერ წარმოდგენილი „ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე: ქ. კორძახია

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

10.06. 201 წ N – 01/06

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს
შპს „საქმილსადენმშენი"-ის
დირექტორ ავთანდილ ლომთაძის
მის: წყალტუბო ქუთაისის ქ #4
ს.ს. „ტრანსვესტინჟინერინგი-12" -ის
დირექტორ ალეკო ახვლედიანის
მის: ქუთაისი ზ. გამსახურდიას 47

ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი   გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ს.ს. „ტრანსვესტინჟინერინგი-12" გადასცემს შპს „საქმილსადენმშენს" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2008 წლის 16 ივლის გაცემულ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

აღნიშნული ნებართვის გადაცემის საფუძველი არის მხარეთა შორის 2012 წლის 03 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება ნებართვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე ერთობლივ განცხადებას.

გთხოვთ განახორციელოთ აღნიშნული ნებართვის გაცემა შპს „საქმილსადენმშენ"-ზე, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობა.

დანართი: 1. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #28 (09.07.2008);

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება #541 16.-7.2008

3. გარემოზე ზემოქმედების ნებარვის მოწმობა #000029

4.ამონაწერი საჯრო რეესტრიდან

5 სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი: შ.პ.ს „საქმილსადენმშენი" და სს ;„ტრანსვესტინჟინერინგი"

6. #3 ხელშეკრულება ნებართვის საკუთრებაში გაადცემის შესახებ (03.02.2012)

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო
№ 720
„06" 02 2012

განმცხადებელი:

შპს „საქმილსადენმშენი"-ს

დირექტორი: [signature]

ავთანდილ ლომთაძე

ს.ს. „ტრანსვესტინჟინერინგი-12"-ის

დირექტორი : [signature]

ალექსანდრე ახვლედიანი

JSC TRANSWESTENGINEERING 12 · 212670108 · GEORGIA

599 51-15-31

ვკანონი

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 000032

კოდი MD1

"14" "თებერვალი" 2012 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	შ.პ.ს „საქმილსადენმშენი"
2. საქმიანობის მიზანი	ასფალტის წარმოება
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	თერჯოლის რაიონი სოფელი კვახჭირი
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შ.პ.ს „თირი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №28 09.07.2008
7. ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების
დეპარტამენტის უფროსი
ნიკოლოზ ჭახნაკია

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი"
სფს-ს რეგისტრაციის N 27-3189

შპს
საქმილსადენმშენი
საქართველო წყალტუბო ქუთაისის ქ № 4
599-51 15 31; 599 51 74 61
E – mail: temolomtadze@gmail.com
amberki@mail.ru
website: www.gccs.ge
სს "თიბისი ბანკი" TBCBGE22
ა/ნ GE71TB0300000030467042
Ó/Ê 221267064

LTD
Georgia Pipeline Mounting
N 4 Kutaisi st. Tskhaltubo Georgia
599-51 15 31; 599 51 74 61
E – mail: temolomtadze@gmail.com
amberki@mail.ru
website: www.gccs.ge
TBC bank Kutaisi TBCBGE22
a/n GE71TB0300000030467042
s/k 221267064

338

25 ნოემბერი 2015 წელი

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 თებერვლის ბრძანებით #0-36 სს „ტრანსვესტინჟინერინგი 12"–ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა #000029 გაუქმდა და იგი გადაეცა შპს „საქმილსადენმშენს" გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #000032 და თვით გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი ჩვენს მიერ დღემდე ვერ იქნა მოძიებული რადგან სს"ტრანსვესტინჟინერინგი 12" გაუქმდა 2011 წელს და მისი დოკუმენტაცია გაბნეული იქნა. გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში და მოგვცეთ პროექტის დუბლიკატი.

დანართი:

ა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

ბ) საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება

პატივისცემით,

შპს "საქმილსადენმშენი"

დირექტორი: ა.ლომთაძე

temolomtadze@gmail.com

599 51 15 31 (თემო)

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 23925
"26" 11 2015 წ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000187

კოდი MD1 „11" „12" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „[illegible]"

2. საქმიანობის მიზანი
ასფალტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
[illegible] მუნიციპალიტეტი, სოფ. [illegible]

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „[illegible]"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №28; 09.07.2008.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) თამარ [illegible]

ბ.ა. [signature]

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"